

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2011 __ წ.
ერთის მხრივ _____ (შემდგომში “შემსყიდველი”)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში “მიმწოდებელი”)
(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე, _____

(საქონლის მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება ავტო-ტექ მომსახურების მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;
 - გ) მომსახურების გაწევის ვადები
 - დ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
 - ე) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (თუ ეს მექანიზმი გამოიყენება).
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ავტო ტექ მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

I. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 შემსყიდველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტი

1.2. მიმწოდებელი:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე “მიმწოდებელი” თანახმაა გაუწიოს ტექნიკური მომსახურება და შეკეთება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომპიუტერებს, ხოლო “შემსყიდველი” კისრულობს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

II. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 2.1. მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ----- ლარს,
- 2.2. ამ ხელშეკრულების თანახმად “შემსყიდველი” ჩაურიცხავს “მიმწოდებელს” გაწეული მომსახურების ღირებულებას (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე), რომელიც ყოველი გაწეული მომსახურებისათვის დადგინდება შესაბამისი წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.
- 2.3. “შემსყიდველი” ანგარიშსწორებას ახორციელებს “მიმწოდებლის” მიერ მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით;
- 2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
- 2.6. მომსახურების მიღება-ჩაბარებას “შემსყიდველის” მხრიდან განხორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

III. მომსახურების მიღება-ჩაბარება

- 3.1. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მხარეების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით..
- 3.3. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს “მიმწოდებელი”.
- 3.4. “შემსყიდველი” ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების შესახებ, წუნდების მიზეზის მითითებით.

IV ფასები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

V. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ”მიმწოდებელი” ვალდებულია:

- ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გაუწიოს ”შემსყიდველს” მომსახურება
- ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- გ) გამოუწეროს “შემსყიდველს” სასაქონლო ზედნადები მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

5.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" მიწოდებული გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
- ბ) "მიმწოდებელთან" ერთად აწარმოოს კონტროლი მიწოდებული გაწეული მომსახურების ხარისხსა და რაოდენობაზე, ასევე საქონლის მიწოდების მიმდინარეობაზე.

VI. განსაკუთრებული პირობები

6.1. გაწეული მომსახურების რაოდენობის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში მათი მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადები თანხმდება მხარეებს შორის დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

VII. გარანტიები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული გაწეული მომსახურების შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, ერთი დღის ვადაში.

7.2. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები გაწეული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

VIII. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა. შ.) ხეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატება,

8.2. თუ სახელშეკრულებლო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედების ვადა კომპენსაციის უფლებების გარეშე.

8.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს.

IX. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

9.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ინსპექტირების განხორციელებისას სამსახური იმოქმედებს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის შესაბამისად

X. პასუხისმგებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახრილი (ან გადასახრელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10.3. "მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან "შემსყიდველი"-ს მიერ მიცემული შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველს" შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო

“მიმწოდებელი” ვალდებულია აუნაზღაუროს “შემსყიდველს” მიყენებული ზარალის საფასური, მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

XI. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან

11.4. “შემსყიდველს” შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ “შემსყიდველი”-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბერს ჩათვლით.

XIII დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში “შემსყიდველი” და “მიმწოდებელი” ვერ შეძლებს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

XIV. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით.

14.4. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, ცნობების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმოწერა შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

XIII. “შემსყიდველი”-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

- 13.1. “შემსყიდველი”-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-141.
- 13.2. “შემსყიდველი”-ს საბანკო რეკვიზიტები: სს “ლიბერთი ბანკი”, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ანგ.№-**GE56LBO120113125552000**, საიდენ.კოდი 247001890.
- 13.3. “შემსყიდველი” – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

XIV. ”მიმწოდებელი”-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

- 14.1 ”მიმწოდებელი”-ს მისამართი:
- 14.2. ”მიმწოდებელი”-ს საბანკო რეკვიზიტები:
- 14.3. ”მიმწოდებელი” –